პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 200 (10286) | ოთხშაბათი, 24 აგვისტო, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ქალაქ თბილისის სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოთა მოწინავე ადამიანების საქალაქო კრების მიმართვა თბილისის და საქართველოს სს რესპუბლიკის მრეწველობისა და ტრანსპორტის ყველა მუშის, ინჟინერ-ტექნიკოსისა და მოსამსახურისადმი (1-ლი გვერდი).

საქართველოს ალკკ მორიგი XXI ყრილობის მოწვევის შესახებ (1-ლი გვერდი).

ახალი საწარმოო მიღწევებით შევხვდეთ სკკპ XX ყრილობას. თბილისის სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოთა მოწინავე ადამიანების საქალაქო კრება (მე-2 გვერდი).

ფაშისტური უღლისაგან რუმინეთის განთავისუფლების მეთერთმეტე წლისთავი. საზეიმო კრება ბუქარესტში. ამხანაგ **გ. გეორგიუ-დეჟის** მოხსენება საზეიმო სხდომაზე. ამხანაგ **ნ. ხ. ხრუშჩოვის** სიტყვა. ბუქარესტის საზეიმო კრების მონაწილეთა მისასალმებელი დეპეშა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს (მე-2 და მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

მხარი დავუჭიროთ თბილისელთა პაფრიოტულ თაოსნობას

დღეს ჩვენს გაზეთში ქვეყნდება თბილისის სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოთა მოწინავე ადამიანების საქალაქო კრების მიმართვა ქალაქ თბილისისა და რესპუბლიკის მრეწველობისა და ტრანსპორტის ყველა საწარმოს მუშების, ინჟინერ-ტექნიკოსებისა და მოსამსახურეებისადმი პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღების და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის დადგენილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში აქტიურად ჩაბმის შესახებ.

— „ჩვენ, ქალაქ თბილისის მრეწველობისა და ტრანსპორტის მოწინავე ადამიანთა კრების მონაწილენი, — ნათქვამია მიმართვაში, — მოვუწოდებთ საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის და მთელი რესპუბლიკის საწარმოთა ყველა მუშას, ინჟინერს, ტექნიკოსსა და მოსამსახურეს კიდევ უფრო ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, დაუღალავად იბრძოლონ შემდგომი ტექნიკური პროგრესისათვის, ყოველი ღონისძიებით აამაღლონ შრომის ნაყოფიერება, მიაღწიონ საწარმოო ფართობისა და მოწყობილობის უკეთ გამოყენებას, ფართოდ გაავრცელონ მოწინავე საწარმოთა მიღწევები და წარმოების ნოვატორთა გამოცდილება“.

ეჭვი არ არის, თბილისელთა ეს მიმართვა ფართო გამოხმაურებას და მხარდაჭერას ჰპოვებს რესპუბლიკის საწარმოებში, ტრანსპორტსა და მშენებლობებზე. ახლა მთავარი ის არის, რომ უნარიანად ჩავუდგეთ სათავეში მასების შრომითს აღმავლობას, მოქნილად და ოპერატიულად ვუხელმძღვანელოთ მათ პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში. მთავარი ყურადღება უნდა მივაქციოთ შეჯიბრების ორგანიზაციულ მხარეს, უზრუნველყოთ მასში საწარმოს კოლექტივის თვითეული წევრის ჩაბმა და ყველას შეუქმნათ პირობები დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის.

სოციალისტური შეჯიბრების მაღალ დონეზე მოწყობა გულისხმობს უწინარეს ყოვლისა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საკითხების მოუგვარებლობა, შრომის დისციპლინის სისუსტე, ამ საწარმოთა ხელმძღვანელების მოუქნელი მუშაობა. ვიმუშაოთ უნარიანად, აღღო ავუღოთ ყველა მოსალოდნელ შეფერხებას და წინასწარვე მივიღოთ ზომები ღობრკოლებათა გადასალახავად — აი რას მოითხოვს ახლა პარტია ჩვენი მრეწველობის ხელმძღვანელი მუშაკებისაგან.

განსაკუთრებული ყურადღებით უნდა გაეცნონ თბილისელთა ამ მიმართვას ჩვენი მშენებლები. ისინი დიდ ვალში არიან სამშობლოს წინაშე. მათ უნდა უზრუნველყონ წელს მთელ რიგ ახალ საწარმოო სიმძლავრეთა ამუშავება. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ წელს ასამუშავებელი ობიექტების მშენებლები ვერ მუშაობენ ისე, როგორც საჭიროა. მეოთხე კვარტალში 5.000 კუბმეტრამდე პროდუქცია უნდა მოგვცეს თბილისის რკინაბეტონის კონსტრუქციების ქარხანამ. მაგრამ ამ ობიექტის მშენებლობაზე აღებული არ არის ისეთი ტემპი, რომ საწარმოს ვადაზე ამუშავება უზრუნველყოფილად მივიჩნიოთ.

კიდევ უფრო დიდი და პასუხსაგები ამოცანების შესრულება ეკისრებათ წელს რესპუბლიკის ენერგეტიკული ბაზების მშენებლებს. რუსთავის თბოსადგურის, გუმათჰესების, ტყიბულჰესის და სხვა ობიექტებზე მომუშავე ენერგეტიკოსების პატრიოტული ღირსების საქმეა უზრუნველყონ ახალი სიმძლავრეების დანიშნულ ვადებზე ამუშავება, ამით ხელი შეუწყონ რესპუბლიკის ელექტრობალანსის გამოსწორებას, რასაც მომავალ შემოდგომა-ზამთრის სეზონში განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება ჩვენი სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღება ის მძლავრი ბერკეტია, რომლის საშუალებით რესპუბლიკის მრეწველობის, ტრანსპორტისა და მშენებლობათა კოლექტივები შეძლებენ პარტიისა და მთავრობის დავალებათა პირნათლად შესრულებას.

— „პირობას ვაძლევთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს, — ნათქვამია თბილისელთა მიმართვაში, — **რომ ქალაქ თბილისის მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაკები ახალი ძალით გააჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას საწარმოთა მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის დადგენილებათა უსწრაფესად განხორციელებისათვის, და ამით ახალ წვლილს შეიტანენ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის საქმეში“.**

მიმართვის ეს სიტყვები თავის დევიზად უნდა აქციოს რესპუბლიკის მრეწველობის, ტრანსპორტისა და მშენებლობის ყველა მუშაკმა.

ქალაქ თბილისის სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოთა მოწინავე ადამიანების საქალაქო კრების

მიმართვა

თბილისის და საქართველოს სს რესპუბლიკის მრეწველობისა და ტრანსპორტის ყველა მუშის, ინჟინერ-ტექნიკოსისა და მოსამსახურისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენი სამშობლოს მშრომელები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მტკიცე რწმენით მიდიან წინ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გზით.

პარტიის XIX ყრილობის შემდეგ განვლილ პერიოდში ჩვენმა სამშობლომ თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია სახალხო მეურნეობის, კულტურის განვითარებაში, ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის ამაღლებაში. მეხუთე ხუთწლიანი გეგმა სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობის დარგში შესრულებულია ვადამდე — 1955 წლის 1 მაისისათვის. მნიშვნელოვანი წარმატებებია მიღწეული მძიმე მრეწველობაში, რომელიც საბჭოთა ეკონომიკის საფუძველთა საფუძველს წარმოადგენს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა საბჭოთა ხალხი შეაიარაღა უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე სოციალისტური მრეწველობის, სოფლის მეურნეობის ახალი აღმაფლობისათვის, საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის ბრძოლის პროგრამით. პლენუმმა განიხილა საკითხები საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკისა, რომლის მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება და ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცება.

ქალაქ თბილისის, ისევე როგორც მთელი ჩვენი რესპუბლიკისა და მთელი ჩვენი ქვეყნის, მშრომელებმა სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს სოციალისტური მრეწველობის განვითარებაში.

ფართოდ აჩაღებენ რა სოციალისტურ შეჯიბრებას, ქალაქის მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოთა კოლექტივები წლითიწლობით გადაჭარბებით ასრულებენ პროდუქციის გამოშვების სახელმწიფო გეგმას. საერთო პროდუქციის გამოშვების მიმდინარე წლის შვიდი თვის გეგმა შესრულებულია 105,7 პროცენტით. გეგმის გადამეტებით მნიშვნელოვანი რაოდენობით არის გამოშვებული ლითონსაჭრელი ჩარხები და საფეიქრო დაზგები, სასოფლო-სამეურნეო და სხვა მანქანები, ლითონკონსტრუქციები, თუჯის სხმული, საშენი მასალები, შალისა და აბრეშუმის ქსოვილები, ფეხსაცმელი, სასურსათო საქონელი. წარმატებით — მთლიანად და გადაჭარბებით სრულდება გეგმები შრომის ნაყოფიერების დარგში და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დავალებანი.

ქალაქის ქარხნებისა და ფაბრიკების მუშაკები დაუღალავად იბრძვიან შრომის ნაყოფიერების შემდგომი ამაღლებისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის, საწარმოო ფართობისა და მოწყობილობის რაციონალურად გამოყენებისათვის.

მრეწველობისა და ტრანსპორტის აღმავლობის, ტექნიკური პროგრესისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ წარმოების მოწინავეებსა და ნოვატორებს, რაციონალიზატორებსა და გამომგონებლებს.

მაგრამ ქალაქის მრეწველობის მუშაობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებები. წარმოებაში ნელა ინერგება ახალი ტექნიკა და მოწინავე ტექნოლოგია, საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია, არასაკმაოდ არის გამოყენებული არსებული რეზერვები, სუსტად ხდება მოწინავე საწარმოების მიღწევებისა და წარმოების ნოვატორთა გამოცდილების შესწავლა და გავრცელება. მთელი რიგი საწარმოები ვერ ასრულებენ პროდუქციის გამოშვების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, ნაწარმის ხარისხის ამაღლებისა და თვითღირებულების შემცირების დავალებებს.

მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოთა ყველა მუშის, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკისა და მოსამსახურის გადაუდებელი ამოცანა ის არის, რომ დარაზმონ მთელი ძალები მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა უსწრაფესი აღმოფხვრისათვის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის.

ცნობამ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მოწვევის შესახებ საბჭოთა ხალხის პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ახალი მძლავრი აღმავლობა გამოიწვია. ქალაქ მოსკოვის მოწინავე საწარმოთა მაგალითის მიხედვით, თბილისის საწარმოებში გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის. საწარმოთა მუშებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა იკისრეს ახალი, გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი და წარმატებით ახორციელებენ მათ.

ს. კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა 21 დეკემბრისათვის შეასრულოს წლიური საწარმოო გეგმა, გეგმის გადამეტებით გამოუშვას რამდენიმე ათეული ჩარხი, შრომის ნაყოფიერება 1954 წელთან შედარებით აამაღლოს 9,7 პროცენტით, გაადიდოს საწარმოო ფართობის ერთეულის მიხედვით პროდუქციის გამოშვება 3 პროცენტით, შეამციროს პროდუქციის თვითღირებულება 7,7 პროცენტით, მიაღწიოს მასალების, სათბობისა და ელექტროენერგიის მნიშვნელოვან ეკონომიას, რაციონალიზატორულ წინადადებათა და გამოგონებათა დანერგვით უზრუნველყოს თვითეულ მომუშავეზე წლიური ეკონომია სულ მცირე 250 მანეთი.

ავტოსარემონტო ქარხნის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა წლიური გეგმა შეასრულოს 1 დეკემბრისათვის, გეგმის გადამეტებით გამოუშვას 2,1 მილიონი მანეთის პროდუქცია, 1954 წელთან შედარებით მიმდინარე წელს შრომის ნაყოფიერება აამაღლოს 11 პროცენტით, გასულ წელთან შედარებით საწარმოო ფართობიდან პროდუქციის მიღება გაადიდოს 26 პროცენტით, მუშის ენერგოშეიარაღება აამაღლოს 7 პროცენტით, მიაღწიოს 90 ათას კილოვატ-საათი ელექტროენერგიის ეკონომიას.

№ 1 ფეხსაცმლის ფაბრიკის კოლექტივი იბრძვის იმისათვის, რომ წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოუშვას 140 ათასი წყვილი ფეხსაცმელი, პირველხარისხოვანი პროდუქციის გამომუშავება აიყვანოს 80 პროცენტამდე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 78,3 პროცენტისა, შრომის ნაყოფიერების გადიდების გეგმა შეასრულოს 1,5 პროცენტის გადაჭარბებით, დაზოგოს 850 ათასი კვადრატული დეციმეტრი რბილი ტყავი და 9 ტონა მაგარი ტყავი, 4 მილიონი მანეთით შეამციროს პროდუქციის თვითღირებულება.

მაუდ-კამოლის კომბინატის კოლექტივმა გადაწყვიტა წლიური გეგმის გადამეტებით გამოუშვას 88,4 ათასი მეტრი შალის ქსოვილები, ხოლო ჩაის საწონი ფაბრიკის კოლექტივმა იკისრა გეგმის გადამეტებით გამოუშვას 14,4 მილიონი მანეთის მზა პროდუქცია.

საელმავლო დეპოში ვალდებულება იკისრეს 1956 წლის 14 თებერვლამდე — პარტიის XX ყრილობის გახსნის დღემდე, გადაიყვანონ 1.800 მძიმე წონის მატარებელი და ნორმის გადამეტებით გადაზიდონ 500 ათასი ტონა ტვირთები. ასრულებენ რა ნაკისრ ვალდებულებებს, შეჯიბრების პირველ ათ დღეში მელმავლეებმა უკვე გადაიყვანეს 159 მძიმე წონის მატარებელი და ნორმის გადამეტებით გადაზიდეს 33.962 ტონა ტვირთები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად წარმატებით ასრულებენ თავიანთ სოციალისტურ ვალდებულებებს მოწინავე ადამიანები: სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში — ამხანაგები ჭუმბურიძე, ილურიძე, ბაისონაშვილი, სოხაძე, ლოკომოტივსარემონტო ქარხანაში — ამხანაგები მოისეევი, ბეჟუაშვილი, ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში — ამხანაგები გოქაძე, კორჩაგინი, როინიშვილი, 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში — ამხანაგები კორძაძე, აკოფოვი, ხახუტაშვილი, ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანაში — ამხანაგები იაშვილი, ჭყონია და მრავალი სხვ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღება, თვითეული საწარმოს კოლექტივის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულება ქალაქ თბილისის მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოთა კოლექტივებს საშუალებას მისცემს საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა საერთოდ შეასრულონ ვადამდე — 20 დეკემბრისათვის, მნიშვნელოვნად აამაღლონ შრომის ნაყოფიერება, გააუმჯობესონ ნაწარმის ხარისხი, შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება, მიიღონ ზეგეგმითი დაგროვება, გულდასმით მოემზადონ წარმოების ახალი ზრდისათვის 1956 წელს.

ჩვენ, ქალაქ თბილისის მრეწველობისა და ტრანსპორტის მოწინავე ადამიანთა კრების მონაწილენი, მოვუწოდებთ საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის და მთელი რესპუბლიკის საწარმოთა ყველა მუშას, ინჟინერს, ტექნიკოსსა და მოსამსახურეს კიდევ უფრო ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, დაუღალავად იბრძოლონ შემდგომი ტექნიკური პროგრესისათვის, ყოველი ღონისძიებით აამაღლონ შრომის ნაყოფიერება, მიაღწიონ საწარმოო ფართობისა და მოწყობილობის უკეთ გამოყენებას, ფართოდ გაავრცელონ მოწინავე საწარმოთა მიღწევები და წარმოების ნოვატორთა გამოცდილება.

პირობას ვაძლევთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს, რომ ქალაქ თბილისის მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაკები ახალი ძალით გააჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას საწარმოთა მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა უსწრაფესად განხორციელებისათვის, და ამით ახალ წვლილს შეიტანენ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის საქმეში.

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხს — კომუნიზმის მშენებელს!

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა მთავრობას!

თბილისის სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოთა მოწინავე ადამიანების საქალაქო კრებაზე. ტრიბუნაზეა თბილისის საორთქლმავლო დეპოს მძიმეწონოსანი მემანქანე ამხ. გ. ბოგვერაძე.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

საქართველოს ალკკ მორიგი XXI ყრილობის მოწვევის შესახებ

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, **რომელმაც** დაადგინა 1955 წლის 23 დეკემბერს მოწვეულ იქნას საქართველოს ალკკ მორიგი XXI ყრილობა.

დამტკიცებულია შემდეგი დღის წესრიგი:

1) საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება — **მომხსენებელი** საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. თ. ნ. ჯანელიძე.

2) საქართველოს ალკკ სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება — **მომხსენებელი სარევიზიო** კომისიის თავმჯდომარე ამხ. ბ. ე. კუხიანიძე.

3) არჩევნები: საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და **სარევიზიო კომისიისა.**

დაწესებულია საქართველოს ალკკ XXI ყრილობაზე წარმომადგენლობის **შემდეგი ნორმა:** ერთი დელეგატი საკავშირო ალკკ 600 წევრზე.

საკავშირო ალკკ წესდების თანახმად საქართველოს ალკკ XXI ყრილობის **დელეგატებს** ირჩევენ დახურული (ფარული) კენჭისყრით. აფხაზეთის, აჭარის ავტონომიური **რესპუბლიკებისა** და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კომკავშირული ორგანიზაციები საქართველოს ალკკ XXI ყრილობის დელეგატებს ირჩევენ საოლქო კონფერენციებზე, დანარჩენი ორგანიზაციები რაიონულ და საქალაქო კომკავშირულ კონფერენციებზე.

კომკავშირელები, რომლებიც ირიცხებიან საბჭოთა არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და **შინაგან საქმეთა** სამინისტროს სასაზღვრო ნაწილებში, საქართველოს ალკკ XXI ყრილობის დელეგატებს დანარჩენ კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად ირჩევენ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომკავშირულ კონფერენციებზე.

საოლქო, საქალაქო და რაიონული კომკავშირული კონფერენციები, საანგარიშო-საარჩევნო კრებები პირველადს კომკავშირულ ორგანიზაციებში ჩატარდება 1955 წლის სექტემბერ-ნოემბერში. (საქდესი).

ახალი საწარმოო მიღწევებით შევხვდეთ სკკპ XX ყრილობას

თბილისის სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოთა მოწინავე ადამიანების საქალაქო კრება

22 აგვისტოს ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის საზაფხულო თეატრის დარბაზში შედგა ქალაქ თბილისის სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოთა მოწინავე ადამიანების საქალაქო კრება, რომელიც მოწვეული იყო საქართველოს კპ თბილისის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ინიციატივით. კრება გახსნა საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. ნ. ჭახრაკიამ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის დადგენილებათა განხორციელებისათვის თბილისის სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოთა კოლექტივების ამოცანებისა და სკკპ XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად მუშაობის ახლებურად მოწყობის შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. ზ. კვაჭაძემ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ თბილისის საწარმოთა კოლექტივები, ისევე როგორც ჩვენი სამშობლოს ყველა მშრომელი, მხურვალედ მიესალმებიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, რომლებიც მათ მიიღეს როგორც თავიანთი მუშაობის სახელმძღვანელო პროგრამა. განსაკუთრებული აღფრთოვანება გამოიწვია ცნობამ ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მოწვევის შესახებ. თბილისში ახლა არ მოიპოვება არც ერთი საწარმო, არც ერთი მშენებლობა, სადაც გაჩაღებული არ იყოს თავდადებული მუშაობა ყრილობის მოწვევის აღსანიშნავად ახალი, უფრო მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მოპოვებისათვის.

ჩვენი მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაკები მასობრივად დგებიან შრომითს ვახტზე, შემოქმედებითად იბრძვიან ტექნიკური პროგრესისათვის, უახლესი ტექნიკის დანერგვისა და მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ გავრცელების ბაზაზე შრომის ნაყოფიერების განუხრელი აღმავლობის მიღწევისათვის.

რესპუბლიკის მშრომელებმა, რომლებიც მტკიცედ ხელმძღვანელობენ დიდი ლენინისა და მისი საქმის გახმგრძობის ი. ბ. სტალინის ანდერძით მძიმე მრეწველობის — ჩვენი ეკონომიკის ამ საფუძველთა საფუძვლის — უპირატესი განვითარების შესახებ, მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. განსაკუთრებით ამ უკანასკნელი წლების მანძილზე. საქართველოში ახლა უკვე გვაქვს შავი მეტალურგიის დიდი საწარმო — სტალინის სახელობის ამერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა, რომელიც სრული ციკლით მუშაობს, გვაქვს დიდად განვითარებული ელექტრომეტალურგია, რომელიც გვაძლევს სხვადასხვა ფეროშენადნობებს, საგრძნობლად გაიზარდა რესპუბლიკაში ქვანახშირის მოპოვება.

ამხ. ზ. კვაჭაძემ ილაპარაკა თბილისის მთელ რიგ სამრეწველო საწარმოთა წარმატებებზე და აღნიშნა, რომ მიუხედავად მოწინავე საწარმოთა საუკეთესო მაჩვენებლებისა, ჯერ კიდევ არიან ისეთი საწარმოები, მაგალითად, თბილისის ელექტრომექანიკური ქარხანა, კერამიკული კომბინატი, მაკარონის ფაბრიკა და სხვ., რომლებიც გეგმებს ვერ ასრულებენ.

მთელ რიგ საწარმოებში ჯერ კიდევ სუსტად არის გაჩაღებული ბრძოლა ახალი ტექნიკის დანერგვისათვის, კომპლექსური ეკონომიკისა და ავტომატიზაციის განხორციელებისათვის, მოწინავეთა გამოცდილების მასობრივად გავრცელებისათვის. არც ისე იშვიათია შემთხვევა, როდესაც საწარმოებში მოუშავე რაციონალიზატორებსა და გამომგონებლებს, წარმოების ნოვატორებს ჯეროვან დახმარებას არ უწევენ, არ ზრუნავენ იმისათვის, რომ მაღალნაყოფიერი შრომის მეთოდები საერთო კუთვნილებად აქციონ.

მომხსენებელმა აუცილებლად მიიჩნია, რომ საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელებმა — სამინისტროების, უწყებების, მთავარი სამმართველოების, ტრესტებისა და გაერთიანებების ხელმძღვანელმა მუშაკებმა, პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი განვითარების საქმეს, წარმოების ტექნიკური აღჭურვილობის დონის ამაღლებას, ახალი ტექნიკის, მაღალი წარმადობის მანქანებისა და აპარატურის გაუმჯობესებული ტექნოლოგიის დანერგვას.

სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების ძირითადი მიზანი უნდა იყოს საწარმოთა მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების მოკლე დროში გამოსწორება, გეგმის შესრულება არა მარტო რაოდენობრივად, არამედ ყველა მაჩვენებლის მიხედვით. საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ წუნისმკეთებლობა აღვკვეთოთ და აღარ დაუშვათ ნომენკლატურის მიხედვით პროდუქციის გამოშვების ჩაშლის შემთხვევები.

თბილისის სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოთა განვლილი შვიდი თვის მუშაობის შედეგები ცხადყოფენ, რომ ჩვენი რესპუბლიკის ჯედაქალაქის საწარმოთა კოლექტივებს ძალუძთ 1955 წლის გეგმა ვადაზე ადრე შესასრულონ. ამისათვის საჭირო იქნება არსებული რეზერვების სრულად, უნარიანად გამოყენება, რაც დამოკიდებულია საწარმოებისადმი ხელმძღვანელობის შემდგომ გაუმჯობესებაზე.

ამხ. ზ. კვაჭაძემ თბილისის საწარმოთა მოწინავე ადამიანებს მოუწოდა კიდევ უფრო ფართოდ გაშალონ პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება, ღირსეული წვლილი შეიტანონ ჩვენი სამშობლოს თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებისა და მოსახლეობის მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობის საქმეში.

* * *

მოხსენების შემდეგ კრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ თბილისის სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოთა მოწინავე ადამიანები.

— როდესაც ჩვენ გავეცანით სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის დადგენილებას მრეწველობის შემდგომი განვითარების, ტექნიკური პროგრესისა და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესების ამოცანების შესახებ, მთელი კოლექტივი აღფრთოვანებამ მოიცვა, — თქვა სტალინის სახელობის ორთქლმავალთაგამწმენდელი ქარხნის მოწინავე მექანიკოსმა ვ. სუხიაშვილმა. ჩვენ ქარგად ვიცით, რომ აღნიშნული დადგენილების განხორციელების შედეგად კიდევ უფრო ამაღლდება მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის დონე, კიდევ უფრო განმტკიცდება ჩვენი სამშობლოს ეკონომიური ძლიერება. საქმაზე საამქრო, სადაც მე ვმუშაობ, მთლიანად დადგა შრომითს ვახტზე.

განსაკუთრებით დაწინაურდნენ ი. ბაბაევი და ა. სოხაძე. მათ იკისრეს 1955 წლის დავალება 7 ნოემბრამდე გაანაღდონ, გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება 5 პროცენტით შეამცირონ. ისინი გეგმას ყოველდღიურად ორმაგად და უფრო მეტად ასრულებენ.

ჩემს ამხანაგებთან ერთად მეც ვდგავარ შრომითს ვახტზე და ვცდილობ საკუთარი წვლილი შევიტანო ამ დიდმნიშვნელოვან საყოველთაო საქმეში. ახალი წარმატებებით შევხვდე პარტიის XX ყრილობას. გადაწყვეტილი მაქვს ვადამდე, ოქტომბრის რევოლუციის 38-ე წლისთავისათვის შევასრულო მიმდინარე წლის გეგმა, გამოვუშვა მხოლოდ მაღალხარისხოვანი პროდუქცია და 2 პროცენტით შევამცირო თვითღირებულება, აგრეთვე როგორც აგიტატორმა, ჩემს საამქროში შევაგროვო 6 ტონამდე ფერადი ლითონის ჯართი.

— სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის დადგენილებებმა ჩვენი ქარხნის კოლექტივში ახალი საწარმოო მიღწევებისათვის დაუდალავი შრომის ხალისი გამოიწვია, — განაცხადა ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის დირექტორმა ამხ. გ. ბერძენიშვილმა. კოლექტივი თავდადებით იბრძვის ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვისა, მუშაობის გაუმჯობესებული მეთოდების მასობრივად ათვისებისათვის, რათა ამის ბაზაზე მიაღწიოს შრომის ნაყოფიერების შემდგომ ზრდას.

უკანასკნელ ხანებში სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმების მითითებათა შესაბამისად ქარხანაში ვახორციელებთ მთელ რიგ ღონისძიებებს წარმოების შემდგომი სრულყოფის უზრუნველსაყოფად. სამანქანო დეტალების ცხლად ჭედვა უკვე შევცვალეთ დატვიფრვით, შევუდექით მთელ რიგ შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის განხორციელებას, ახალი რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვას. ყოველივე ეს ქარხნის კოლექტივს იმის შესაძლებლობას აძლევს, რომ მიმდინარე წლის გეგმა ვადამდე სამი თვით ადრე — 1 ოქტომბრისათვის შეასრულოს.

ყველა საშუალებით ვცდილობთ დავნერგოთ ახალი ტექნიკა და თანდათან გადავიდეთ გაუმჯობესებული ტექნოლოგიით მუშაობაზე, ამასთან მიზნად ვისახავთ მეღვინეობის საწარმოებს მივცეთ გაუმჯობესებული და უახლესი კონსტრუქციის მანქანები, ყველა დანადგარი იმისათვის, რომ მეღვინეობის საწარმოები უზრუნველვყოთ ავტომატურად მოქმედი საწარმოო ხაზებით.

ქარხნის მოწინავე ადამიანთა ინიციატივით ამჟამად ჩვენი კოლექტივი პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დგას. მისი გადაწყვეტილებაა შრომის ნაყოფიერების ამაღლების გზით უზრუნველყოს ახალი, 1956 სამეურნეო წლის სრული მზადყოფნით შეხვედრა, მუშაობის მაღალი ტემპის შენარჩუნება და 1956 წლის იანვარ-თებერვლის გეგმების 25 თებერვლისათვის შესრულება.

კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის მფარველმა ამხ. ა. ალექსეენკომ თავის სიტყვაში ილაპარაკა ქარხნის მოწინავე ადამიანებზე. მან აღნიშნა, რომ ქარხნის კოლექტივი ამაყობს ისეთი ადამიანებით, როგორიც არიან ა. აგაჯანოვი, გ. ძაძამია, პ. ზუბრიცკი და სხვები. — ეს ნოვატორები, — ამბობს ამხ. ალექსეენკო, — გვაძლევენ პარტიის XX ყრილობისათვის ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად ბრძოლის საუკეთესო მაგალითებს. ამ მაგალითებს, ამ მოწინავე ადამიანთა მუშაობის მეთოდებს მასობრივად ვავრცელებთ მთელ ქარხანაში, და ამის შედეგია, რომ ჩვენთან უკვე ათობით და ასობით გამოჩნდნენ შრომის ენთუზიასტები, რომლებიც ახალი წარმატებებით აღნიშნავენ ყრილობისათვის მზადების ამ დღეებს.

იმისათვის რომ უკეთესი მაჩვენებლებით შეხვდეს პარტიის ყრილობას, ჩვენი ქარხნის კოლექტივი ეჯიბრება თბილისის ავტომშემკეთებელი ქარხნისა და ერევნის ძერჟინსკის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის კოლექტივებს.

სხვა ვალდებულებათა გარდა მათთან შეჯიბრებაში გამარჯვების მოსაპოვებლად ჩვენ ვიკისრეთ წელს წლიური გეგმის გადამეტებით სამშობლოს მივცეთ რამდენიმე ათეული ჩარხი და მარტო რაციონალიზატორულ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად მივაღწიოთ საშუალოდ ერთ მუშაზე გაანგარიშებით 250 მანეთ ეკონომიას.

— სოციალისტური შეჯიბრება, — თქვა მაუდ-კამოლის კომბინატის მოწინავე მრთველმა ნ. კარიახნომ, — როგორც ამაში მტკიცედ დამარწმუნა საკუთარმა გამოცდილებამ, საწარმოო აღმავლობის მძლავრი ბერკეტია. შეჯიბრების მასობრივად გაშლისა და მასში ყველა მრთველის ჩაბმის შედეგად ახლა ჩვენ საამქროში აღარ მოიპოვება ისეთი მუშა, რომელიც გამმუშავების ნორმას გადაჭარბებით არ ასრულებდეს.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ როგორ ხელმძღვანელობენ შეჯიბრებას ადგილობრივი პროფკავშირული ორგანიზაციები, როგორ არის დაყენებული შედეგების აღრიცხვა, დაწინაურებულთა მიღწევების პოპულარიზაცია. იმ ბრიგადაში, სადაც მე ვიცრიცხები, ეს საქმე კარგად არის მოწყობილი და ამის შედეგად მოწინავეთა გამოცდილება დაუყოვნებლივ იქცევა საერთო კუთვნილებად.

პარტიის XX ყრილობისათვის მაუდ-კამოლის კომბინატის კოლექტივი სამშობლოს ახალ მიღწევებს უმზადებს. ჩვენი პირობაა არ დავუშვათ მანქანებისა და მოწყობილობის გაცდენა, უზრუნველვყოთ მხოლოდ მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვება და წლის ბოლოსათვის გეგმის გადამეტებით გამოვუშვათ 88.400 მეტრი ქსოვილები. ჩვენი ბრიგადის წევრებმა დამავალეს განვაცხადო, რომ ბრიგადა 1955 წლის გეგმას შეასრულებს დიდი ოქტომბრის რევოლუციის ოცდამეთვრამეტე წლისთავისათვის — 7 ნოემბრისათვის.

საელმავლო დეპოს მძიმეწონოსანმა მემანქანემ გ. ბოგვერაძემ განაცხადა:

პარტიის მოწოდებათა განხორციელებისათვის ამ თავდადებული ბრძოლის დღეებში სასიხარულო ცნობა მივიღეთ — ჩვენი კოლექტივი საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მეორე კვარტალის შედეგების მიხედვით პირველ ადგილზე გამოვიდა. ამან ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია.

ჩვენთან ჩამოყალიბდა XX ყრილობის სახელობის ელექტრომავალთა კოლონა, რომელიც იმუშავებს მძიმე წონის მატარებლების გადაყვანაზე. ამ კოლონას მე ვხელმძღვანელობ. ჩვენ ვიკისრეთ 14 თებერვლამდე გადავიყვანოთ 1.800 მძიმე წონის მატარებელი, სადღეღამისო გარბენა გავადიდოთ 10 პროცენტით, ტექნიკური სიჩქარე — 11 პროცენტით...

მძიმე წონის მატარებლების შეუფერხებელი გადაყვანისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მემანქანეებისა და დისპეტჩერების შეწყობილ, კოლეგიალურ მუშაობას. ამიტომ ჩვენ სადისპეტჩეროებთან გავაჩაღეთ სოციალისტური შეჯიბრება იმისათვის, რომ ხელი შეგვიწყონ მატარებლების დროულად გაშვებაში.

ამოცანა ის არის, რომ ვამრავლოთ მძიმეწონოსან მემანქანეთა რიგები. ამისათვის აუცილებელია ხშირად მოვაწყოთ მოწინავეთა გამოცდილების გაზიარება. საჭიროა ახალი ტექნიკისა და მეცნიერების მიღწევათა დანერგვაში მეტი დახმარება გაგვიწიონ სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა და ინსტიტუტთა მეცნიერმა მუშაკებმა.

* * *

კრებამ ერთხმად მიიღო მიმართვა თბილისისა და საქართველოს მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოთა მუშაკებისადმი.

ფაშისტური უღლისაგან რუმინეთის განთავისუფლების მეთერთმეტე წლისთავი

საზეიმო კრება ბუქარესტში

ბუქარესტი, 22 აგვისტო. (საკდესი). დღეს ბუქარესტში გაიმართა ფაშისტური მონობისაგან რუმინეთის განთავისუფლების მე-11 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება. სხდომის დარბაზში არიან წარმოების მოწინავენი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, ოფიცრები და გენერლები, პარტიული და სახელმწიფო მუშაკები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები. დიპლომატიურ ლოჟებში არიან სსრ კავშირის ელჩი რუმინეთში ა. ა. ეპიშევი, ბუქარესტში აკრედიტებული საელჩოთა და მისიათა მეთაურები და წევრები.

პრეზიდიუმში შემოდიან რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. გეორგიუ-დეჟი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ს. ხრუშჩოვი, დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე პეტრუ გროზა, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. აპოსტოლი, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მთავრობათა დელეგაციების ხელმძღვანელები, რომლებიც ჩამოვიდნენ რუმინეთის განთავისუფლების წლისთავის დღესასწაულზე, და სხვები. კრების მონაწილენი მათ მქუხარე ოვაციით ხვდებიან.

ყერეს რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

კრება მოკლე შესავალი სიტყვით ვახსნა პეტრუ გროზამ, რომელიც გულთბილად მიესალმა სადღესასწაულო ზეიმზე ჩამოსულ ნ. ს. ხრუშჩოვს, აგრეთვე ალბანეთის, ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის მთავრობათა დელეგაციების ხელმძღვანელებს. მისალმების სიტყვებს დარბაზი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით ხვდება.

რუმინეთის განთავისუფლების მე-11 წლისთავის შესახებ მოხსენება გააკეთა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. გეორგიუ-დეჟმა, რომელსაც მქუხარე ტაშით შეხვდნენ. ამხანაგ გ. გეორგიუ-დეჟის მოხსენება, რომელშიც მოცემული იყო სოციალისტიზმის ხელმძღვანელები, რომლებიც ჩამოვიდნენ რუმინეთის განთავისუფლების წლისთავის დღესასწაულზე, და სხვები. კრების მონაწილენი მათ მქუხარე ოვაციით ხვდებიან.

ყერეს რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

კრება მოკლე შესავალი სიტყვით ვახსნა პეტრუ გროზამ, რომელიც გულთბილად მიესალმა სადღესასწაულო ზეიმზე ჩამოსულ ნ. ს. ხრუშჩოვს, აგრეთვე ალბანეთის, ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის მთავრობათა დელეგაციების ხელმძღვანელებს. მისალმების სიტყვებს დარბაზი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით ხვდება.

რუმინეთის განთავისუფლების მე-11 წლისთავის შესახებ მოხსენება გააკეთა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. გეორგიუ-დეჟმა, რომელსაც მქუხარე ტაშით შეხვდნენ. ამხანაგ გ. გეორგიუ-დეჟის მოხსენება, რომელშიც მოცემული იყო სოციალისტიზმის ხელმძღვანელობის გზაზე რუმინელი ხალხის წარმატებათა, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის მისი დაუცხრომელი ბრძოლის მკაფიო სურათი, დიდი ყურადღებით იქნა მოსმენილი და არაერთხელ შეაწყვეტინეს ტაშით.

თავმჯდომარე სიტყვას აძლევს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ნ. ს. ხრუშჩოვს. ყველანი ფეხზე დგებიან და მქუხარე, ხანგრძლივ ოვაციას უმართავენ მას. დარბაზში გაისმის შეძახილები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პატივსაცემად, სსრ კავშირის პატივსაცემად, რუმინეთ-საბჭოთა კავშირის ურღვევი, ძმური მეგობრობის პატივსაცემად.

შემდეგ მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მთავრობათა დელეგაციების ხელმძღვანელებმა.

კრების მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს მისასალმებელი დეპეშები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი.

ამხანაგ გ. გეორგიუ-დეჟის მოხსენება საზეიმო სხდომაზე

ბუქარესტი, 22 აგვისტო. (საკდესი). დღეს ბუქარესტში ფაშისტური უღლისაგან რუმინეთის განთავისუფლების მეთერთმეტე წლისთავის გამო გამართულ საზეიმო სხდომაზე მოხსენება გააკეთა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. გ. გეორგიუ-დეჟმა. მან აღნიშნა, რომ 1944 წლის 23 აგვისტოს რუმინეთის განთავისუფლება მოხდა სახელოვანი საბჭოთა არმიის ძლევამოსილი შეტევის პირობებში. საბჭოთა არმია, რომელიც გამანადგურებელ დარტყმებს აყენებდა ფაშისტთა ჯარებს, რუმინეთის ტერიტორიაზე შემოვიდა როგორც გამარჯვებული არმია. ანტიჰიტლერული კოალიციის — ამერიკის შეერთებული შტატების, სსრ კავშირის, ინგლისისა და საფრანგეთის გამარჯვებათა გავლენით, აღნიშნა მომხსენებელმა, პატრიოტული ძალების ბრძოლას ჩვენი გმირი პარტიის — რუმინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მძლავრი გაქანება მიეცა. პარტიის ხელმძღვანელობით პატრიოტულმა ძალებმა ხალხის მასების მხარდაჭერით, რომელთა შორის დიდი ხნიდან მზიფდებოდა აღშფოთება და გულისწყრომა სამხედრო ფაშისტური დიქტატურისა და მისი დანაშაულებრივი, ანტიხალხური და ანტიეროვნული შეიარაღებული ძალადობის წინააღმდეგ, მოაწყეს შეიარაღებული აჯანყება და დაამხეს ფაშისტური მთავრობა.

1944 წლის 23 აგვისტოს გამოვლინდა ხალხის ურყევი გადაწყვეტილება — საკუთარ ხელში აეღო თავისი ბედი და სამშობლოს მომავალი.

23 აგვისტოს შემდეგ ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა გამოთქვეს თავიანთი ურყევი ნება არ დაუშვან, რომ ბანრუნდეს ძველი წესწყობილება, ნება — უზრუნველყონ თავიანთი სამშობლოს სოციალური და ეკონომიური პროგრესი, მისი დემოკრატიული და სოციალისტური განვითარება, მისი პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობა. ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით მშრომელებმა გააჩაღეს ბრძოლა დემოკრატიული წყობილებისათვის. ამოძრავდნენ ქალაქისა და სოფლის მშრომელთა უფართოესი მასები, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს დემოკრატიული რეფორმებისათვის, მიწისათვის, სახალხო ხელისუფლებისათვის ბრძოლაში. გაერთიანებული რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში ხალხის ძალებმა გაიმარჯვეს, შეიქმნა დემოკრატიული მთავრობა, რომლის პოლიტიკური საფუძველი იყო მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის კავშირი მუშათა კლასის ხელმძღვანელობით.

ჩვენი პარტიის სწორმა და მტკიცე პოლიტიკამ, თავდადებამ, რომელიც რუმინელმა მუშებმა, გლეხებმა და ინტელიგენციამ, ისევე როგორც ეროვნულ უმცირესობათა მშრომელებმა გამოიჩინეს რუმინეთის ეკონომიური აღდგენისა და დემოკრატიულ მონაპოვართა კონსოლიდაციის საქმეში, უდიდესმა ეკონომიურმა, ტექნიკურმა და კულტურულმა დახმარებამ, რომელიც ჩვენს ქვეყანას საბჭოთა კავშირმა გაუწია ომისშემდგომი პერიოდის ძნელ პირობებში, — ყოველივე ამან შესაძლებელი გახადა მოკლე ისტორიულ ვადაში გადავსულიყავით ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დამთავრების ეტაპიდან სახალხო-დემოკრატიული რევოლუციის ახალ სოციალისტურ ეტაპზე. მონარქიის დამხობითა და სახალხო რესპუბლიკის გამოცხადებით დაიწყო სოციალისტური მშენებლობის ეტაპი ჩვენს ქვეყანაში. ეს იყო მშრომელ გლეხობასთან შეკავშირებული მუშათა კლასის ისტორიული გამარჯვება, რუმინელი ხალხისა და ეროვნულ უმცირესობათა საერთო ბრძოლაში ისტორიული გამარჯვება.

შემდეგ ამხანაგი გ. გეორგიუ-დეჟი შეეხო შედეგებს, რომლებიც დღემდე მიღწეულია სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში. ჩვენი ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანების შესრულებაში განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვან როლს, — თქვა მან, — ასრულებს რუმინეთის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია წარმოების საშუალებათა წარმოების და პირველ რიგში მანქანათმშენებლობის სწრაფი ზრდის საფუძველზე. მრეწველობის ძირითადი დარგებიდან განსაკუთრებით განვითარდა მანქანათსამშენებლო და ლითონდამმუშავებელი მრეწველობა, რომელიც 1955 წლის დამლევისათვის 2,8-ჯერ გაადიდებს თავის სიმძლავრეს 1950 წელთან შედარებით, ქიმიური მრეწველობა — სამჯერ და მეტად, საშენი მასალების მრეწველობა — დაახლოებით 2,4-ჯერ, ფერადი მეტალურგია — თითქმის 2,4-ჯერ. საჰრეწველო პროდუქციის საერთო ზოცულობა, რომელიც გათვალისწინებულია ხუთწლიანი გეგმით, მთლიანად მიღწეულ იქნება მიმდინარე წლის დამლევამდე, რადგან მრეწველობის ძირითადმა დარგებმა უკვე შეასრულა თავიანთი გეგმა. ჩვენს ქვეყანაში წარმოების საშუალებათა მწარმოებელი მრეწველობა. ამით დაცული იყო გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოების კანონი, რომელიც ლენინმა ჩამოაყალიბა. ხუთწლედის განმავლობაში ელექტროენერგიის გამომუშავება ერთიორად და მეტად გადიდდა 1950 წელთან შედარებით და 3,8-ჯერ 1938 წელთან შედარებით. მუშათა, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკთა მთაგონებული შრომის და სსრ კავშირის ძმური დახმარების მეოხებით ხუთწლიანი გეგმის დავალებანი ნავთობის მრეწველობაში გადაჭარბებით შესრულდა: ნავთობის ამოღება 1955 წელს ერთიორად და მეტად გადიდდა 1950 წელთან შედარებით და შეადგენს 10.500 ათას ტონაზე მეტს. შავ მეტალურგიაში თუჯის წარმოება ხუთ წელიწადში გადიდდება 80-ზე მეტი პროცენტით, ფოლადისა — 40-ზე მეტი პროცენტით. ამ პერიოდში დიდად განვითარდა ქიმიური მრეწველობა, რომლის პროდუქცია 1955 წელს ერთისამად გადიდდა 1950 წელთან შედარებით.

ხუთწლედის განმავლობაში, და განსაკუთრებით, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის აგვისტოს პლენუმის შემდეგ, ჩვენმა მრეწველობამ მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობისათვის უზრუნველყო მოხმარების საშუალებანი სულ უფრო მეტი რაოდენობით, შექმნა რა მჭიდრო კავშირი საწარმოო ძალების მზარდ განვითარებასა და მშრომელთა ცხოვრების დონის შემდგომ გაუმჯობესებას შორის.

აღნიშნა რა ზოგიერთი ნაკლი, რომელიც მრეწველობის მთელ რიგ დარგებშია, გეორგიუ-დეჟი შეეხო სოფლის მეურნეობაში არსებულ მდგომარეობას. ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით, განაცხადა მომხსენებელმა, სულ უფრო მეტი და მეტი მშრომელი გლეხი ადგება სოციალიზმის გზას, ერთიანდებიან რა კოლექტიურ მეურნეობებად, მიწის ერთობლივად დამუშავებელ ამხანაგობებად და სხვ. კოლექტიურ მეურნეობათა, მიწის ერთობლივად დამმუშავებელ ამხანაგობათა და მშრომელ გლეხთა კოოპერირებისა და ურთიერთდახმარების სხვა ფორმების რიცხვის ზრდა მოწმობს, რომ გაძლიერდა მშრომელ გლეხთა ინტერესი თავიანთი ერთპიროვნული მეურნეობების მსხვილ სასოფლო მეურნეობებად გაერთიანებისადმი, მოწმობს, რომ მიმდინარეობს სოფლის მეურნეობაში სოციალისტური სექტორის თანდათანობით განვითარებისა და განმტკიცების პროცესი. მთლიანად, აღნიშნა მომხსენებელმა, სოფლის მეურნეობის სოციალისტური სექტორი მოიცავს რუმინეთის სახნავ-სათესი მიწების თითქმის 26 პროცენტს, რომლებიც განაწილებულია სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა, კოლექტიურ მეურნეობათა და მიწის ერთობლივად დამმუშავებელ ამხანაგობათა შორის.

აღნიშნა რა, რომ რუმინეთის მუშათა პარტია და მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ სოფლის მეურნეობის მექანიზაციას, მომხსენებელმა შემდეგ განაცხადა, რომ პარტიამ და მთავრობამ მიიღეს მთელი რიგი ორგანიზაციულ-სამეურნეო ღონისძიებანი გლეხთა წახალისებისა და მატერიალური დაინტერესების მიზნით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადიდების მიზნით. იმ ღონისძიებათა შედეგად, რომლებიც რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გაფართოებულმა პლენუმმა მიიღო 1953 წლის აგვისტოში და სოფლის მეურნეობის მშრომელთა მეცადინეობის მეოხებით, ხუთწლედის წლებში სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია გაიზარდა განსაკუთრებით ჰექტარზე საშუალო მოსავლიანობის გადიდების მეოხებით.

შემდეგ გეორგიუ-დეჟმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს ხორბლისა და ჭვავის მოსავალი, რომლის აღება წარმატებით დამთავრდა, კარგია. ძალიან კარგი პირი უჩანს სიმინდის, კარტოფილის, შაქრის ჭარხლის, ყურძნისა და ხილის მოსავალს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება სიმინდის მოსავალს: ამ კულტურის მოსავალი გადაჭარბებს 1954 წლის კარგ მოსავალს. პურეულის მოსავალი შესაძლებელს გახდის კიდევ უფრო გაუმჯობესდეს მოსახლეობის მომარაგება პურითა და სიმინდის ფქვილით, უზრუნველყოფილ იქნას კვების მრეწველობა ნედლეულით და გადიდდეს ექსპორტი.

სოციალისტური მშენებლობა, განაგრძო მომხსენებელმა, მოითხოვს ახალი კვალიფიციური კადრების შექმნას სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის. პირველი ხუთწლედის წლებში მომზადდა 13.400 ინჟინერი, 4.500 ეკონომისტი და 7.000 აგრონომი. მარტო 1948-55 წლებში საყოველთაო განათლების სისტემის სკოლების რიცხვი გაიზარდა 600-ზე მეტი ერთეულით. მომავალ სასწავლო წელს მოსწავლეთა რიცხვი ომამდელ დონესთან შედარებით გაიზრდება შვიდწლედებში — თითქმის ოთხჯერ, საშუალო და პროფესიულ სკოლებში — სამჯერ და უმაღლეს სასწავლებლებში — აგრეთვე სამჯერ.

პირველი ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებამ, აღნიშნა გეორგიუ-დეჟმა, შექმნა წანამძღვარები სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის მეორე ხუთწლედში, რომლის შესამუშავებლად მუშაობა ახლა მიმდინარეობს. მიღწეულ წარმატებებზე დაყრდნობით და პირველი ხუთწლედის წლებში შეძენილი გამოცდილების გამოყენებით, მუშათა კლასის, მშრომელი გლეხობის, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა შრომისმოყვარეობისა და უნარის მეოხებით, საბჭოთა კავშირთან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან ყოველმხრივი თანამშრომლობის განვითარებით, ჩვენი მშრომელი ხალხი პარტიის ხელმძღვანელობით იბრძოლებს ახალ წარმატებათა მიღწევისათვის სახალხო მეურნეობის განვითარებაში, სრული გამარჯვებისათვის სოციალიზმის ეკონომიური საფუძვლის მშენებლობაში.

შემდეგ ამხანაგი გეორგიუ-დეჟი შეეხო სახალხო-დემოკრატიული სახელმწი

ფაშისტური უღლისაგან რუმინეთის განთავისუფლების მეთერთმეტე წლისთავი

ამხანაგ გ. გეორგიუ-დეჟის მოხსენების დასასრული

აღნიშნა მთელი რიგი წარმატებანი საბჭოთა ეროვნულ-ეკონომიკურ ურთიერთობაში, ეროვნულ-ეკონომიკურ ურთიერთობაში, ეროვნულ-ეკონომიკურ ურთიერთობაში,

ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების კონფერენციაზე საბჭოთა დელეგაციის პრეს-კონფერენცია

ჟენევა, 21 აგვისტო. (საკდესის სპეც. კორ.). საბჭოთა დელეგაციამ ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საერთაშორისო მეცნიერულ-ტექნიკურ კონფერენციაზე 20 აგვისტოს მოაწყო პრეს-კონფერენცია, რომელსაც დაესწრო შვეიცარიისა და უცხოეთის პრესის მრავალი წარმომადგენელი, რომლებიც აშუქებდნენ კონფერენციის მუშაობას.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა აკადემიკოსმა დ. ვ. სკობელცინმა პასუხი გასცა პრესის წარმომადგენლებს მთელ რიგ კითხვებზე, რომლებიც დაკავშირებული იყო კონფერენციის მუშაობასთან, აგრეთვე სსრ კავშირში ატომის ენერგიის კვლევის შედეგებთან და მის მშვიდობიან გამოყენებასთან.

ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საერთაშორისო მეცნიერულ-ტექნიკურ კონფერენციაზე საბჭოთა დელეგაციის განცხადება

ჟენევა, 21 აგვისტო. (საკდესის სპეც. კორ.). გუშინ საბჭოთა დელეგაციამ ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საერთაშორისო მეცნიერულ-ტექნიკურ კონფერენციაზე გამოაქვეყნა შემდეგი განცხადება:

„ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საერთაშორისო კონფერენციის დამთავრებასთან დაკავშირებით საბჭოთა დელეგაციას საჭიროდ მიაჩნია აღნიშნოს, რომ კონფერენციამ ჩაიარა თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების კეთილსასურველ ვითარებაში, რომელიც შეიქმნა ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირის შედეგად, და წარმომადგენს დიდმნიშვნელოვან ნაბიჯს ყველა ქვეყნის მეცნიერთა შორის პირადი კონტაქტის დამყარების საქმეში.

საბჭოთა დელეგაციას იმედი აქვს, რომ კონფერენციის მუშაობა დიდი წვლილი იქნება ფართო მეცნიერული თანამშრომლობის განვითარებისათვის იმ დარგში, რომ ჩვენი დროის დიდი მეცნიერული აღმოჩენები გამოყენებულ იქნას არა ომისა და ნგრევის მიზნისათვის, არამედ შემოქმედებითი მიზნებისათვის, კაცობრიობის საკეთილდღეოდ, ცივილიზაციის საკეთილდღეოდ.

საბჭოთა დელეგაცია გამოთქვამს სურვილს, რომ ამგვარი კონფერენციები მომავალში რეგულარულად იქნას მოწვეული“.

ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მეცნიერები ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საერთაშორისო მეცნიერულ-ტექნიკური კონფერენციის შედეგების შესახებ

ნიუ-იორკი, 21 აგვისტო. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს ჟენეველი კორესპონდენტი იუწყება, პასუხად მისი თხოვნისა, რომ კომენტარი გაუკეთონ ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საერთაშორისო მეცნიერულ-ტექნიკური კონფერენციის შედეგებს, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის დელეგაციათა ხელმძღვანელებმა ამ კონფერენციაზე უაღრესად დადებითი შეფასება მისცეს შესრულებულ მუშაობას.

ამერიკის ატომის ენერგიის კომისიის თავმჯდომარემ ლუის სტრაუსმა განაცხადა: „ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების პირველ საერთაშორისო კონფერენციაზე ყველა დელეგატს შორის, რომლებიც წარმოადგენდნენ 70-ზე მეტ ქვეყანას, მეგობრული ატომსფერო სუფევდა. ამ კონფერენციაზე იდეების ფარფოდ გაცვლა, ვფიქრობ, წარმოშობს დიდძალ გამოგონებებს მშვიდობიანი მიზნით ატომის შემდგომი გამოყენების დარგში... იდეებისა და აზრების გაცვლა დიდ დადებით გავლენას მოახდენს მედიცინაზე, ხელს შეუწყობს კეთილდღეობას და პროგრესს“.

პარუელის (ინგლისი) ატომის სამეცნიერო-საკვლევი ცენტრის დირექტორმა ჯონ კოკროფტმა განაცხადა: „უეჭველია, ამ კონფერენციამ განაზორციელა მის წინაშე დასახული ყველა დიდი ამოცანა. კონფერენციისათვის წარდგენილი მეცნიერული ინფორმაცია უზრუნველყოფს მსოფლიოს ყველა ქვეყნის მეცნიერებსა და ინჟინრებს მასალებით, რომლებიც მათ შეუძლიათ შეისწავლონ და გამოიყენონ თავიანთ საკუთარ პროგრამებში მრავალი თვის, ხოლო შესაძლოა მრავალი წლის მანძილზე.

ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა მეგობრული თანამშრომლობის სულისკვეთებამ, რომელიც ყველა დელეგაციამ გამოიჩინა კონფერენციის დაწყებიდანვე, და მწამს, რომ ეს ყველა იმათ საკეთილდღეოდ იქნება, ვინც დაკავშირებულია მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენებასთან მთელ მსოფლიოში“.

საფრანგეთის ატომის ენერგიის საკითხთა უმაღლესმა კომისარმა ფ. პერენმა განაცხადა: „ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების კონფერენციაზე მიღწეულ იქნა მნიშვნელოვანი წარმატება: მან ბოლო მოუღო საიდუმლოებას ატომის ენერგიის დარგში. ჩემი საკუთარი სახელით და საფრანგეთის დელეგაციის სახელით მსურს უდიდესი კმაყოფილება გამოვთქვა ამ კონფერენციის შედეგებით“.

„დაიწყო საერთაშორისო მეცნიერული თანამშრომლობის ხანა“

პოლონეთის პრესა ჟენევის მეცნიერულ-ტექნიკური კონფერენციის შედეგების შესახებ

ვარშავა, 21 აგვისტო. (საკდესი). პოლონეთის პრესა გაცხოველებულ კომენტარს უკეთებს ჟენევაში დამთავრებული ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საერთაშორისო მეცნიერულ-ტექნიკური კონფერენციის შედეგებს.

გაზეთი „ტრიბუნა ლუდუ“ წერს: ორი კვირის წინათ ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საერთაშორისო კონფერენციის გახსნაზე დიდ იმედებს ამყარებდნენ მთელ მსოფლიოში და, პირდაპირ ვიტყვით, ერთგვარი შიშიც იყო. ღღეს ეს იმედები ფაქტებით დადასტურდა, ხოლო შიში მნიშვნელოვანწილად გაიფანტა.

ჟენევის კონფერენციას არ ახასიათებდა ლეტონი სიტყვები, იგი კონკრეტული იყო...

და მით უფრო მეტი მნიშვნელობა ჰქონდა დიად სიტყვებს, რომლებიც კონფერენციის უკანასკნელ ღღეებში გაისმოდა დარბაზში — სიტყვებს დაახლოებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ, ურთიერთ ნდობისა და პატივისცემის შესახებ, მშვიდობის შესახებ.

დიდმნიშვნელოვანია ის, აღნიშნავს გაზეთი „ჟიცე ვარშავე“, რომ აღარ არსებობს საიდუმლოება და დაიწყო საერთაშორისო მეცნიერული თანამშრომლობის ხანა...

უბრალო ადამიანი გრძნობს, რომ ჩვენში დაიწყო ატომის ხანა, და შვებით ამოისუნთქავს, რადგან შეგნებული აქვს, რომ ეს იქნება ატომგულის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების ხანა. მას აღარ აშინებს მეცნიერების ძლიერება. იგი დალოცავს მას.

ინგლისის პრესა ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების ჟენევის კონფერენციის შესახებ

ლონდონი, 21 აგვისტო. (საკდესი). ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საერთაშორისო მეცნიერულ-ტექნიკური კონფერენციის დამთავრებისადმი მიძღვნილ ცნობებში ინგლისის საკვირაო გაზეთები დიდ ყურადღებას აქცევენ საბჭოთა კავშირის წვლილს კონფერენციის შრომებში. გაზეთები თვალსაჩინო ადგილს უთმობენ ნ. ა. ბულგანინის წერილს კონფერენციის თავმჯდომარის ხ. ბაბასადმი.

გაზეთი „ობსერვერი“ დიდი სათაურით აღნიშნავს საბჭოთა კავშირის დახმარებას სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისადმი მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების საქმეში.

გაზეთების მეცნიერი მიმომხილველები და ჟენეველი კორესპონდენტები ერთსულოვნად მიუთითებენ ინფორმაციის გულახდილ გაცვლას კონფერენციაზე. „ობსერვერის“ მიმომხილველი წერს: „აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნების მეცნიერები ამ კონფერენციის დამთავრების შემდეგ ერთმანეთს ემშვიდობებიან და საუკეთესო ურთიერთდამოკიდებულება აქვთ. შვების გრძნობით, რაც გამოწვეულია კოლეგებთან ატომის ენერგიის შესახებ გულახდილი ლაპარაკის შესაძლებლობით, გამსჭვალული იყო მთელი კონფერენციის ატმოსფერო, რომლის გაფართეა ადვილი როდია. მეცნიერები, უეჭველია, უნდა მიესალმონ ამგვარი ახალი კონფერენციის მოწვევას სამი ან ოთხი წლის შემდეგ, და სავსებით შესაძლებელია, რომ ეს კონფერენცია ნამდვილად გაიმართება“.

ინგლისის, საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ატომურ ენერგიის ექსპერტთა ერთობლივი კონფერენციის შესახებ

ლონდონი, 21 აგვისტო. (საკდესი). ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საერთაშორისო მეცნიერულ-ტექნიკური კონფერენციის ინგლისელ, ფრანგ და საბჭოთა ექსპერტთა ერთობლივ კონფერენციაზე ინგლისელ ექსპერტთა ხელმძღვანელ სერ ალეგზანდერ ფეთერსონ-ალენ ინგლისელ ექსპერტთა ერთობლივ კონფერენციაზე. „ობსერვერის“ მიმომხილველი წერს: „ალბათ, ეს ერთ-ერთი ასეთი ინფორმაციაა, ინფორმაციის ასეთი ნაკადი, ასეთი ინფორმაციის ასეთი ნაკადი, ასეთი ინფორმაციის ასეთი ნაკადი, ასეთი